სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 22

2012 წლის 30 სექტემბერი

ქ. თბილისი

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის პირობების, პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადების ფორმის და საპროექტო წინადადების ფორმის დამტკიცების შესახებ

,,გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,ე" და ,,თ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2012 წლის 29 ოქტომბრის №07 ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ,,გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსი."
2. დამტკიცდეს ,,გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსის" პირობები ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს ,,გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსის" პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

4. დამტკიცდეს ,,გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსის“ საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.
5. დაევალოს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
6. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

კარლო ლაფერაძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი